თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) გიგა ორკოდაშვილი
თანამდებობის დასახელება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ფრაქციის დასახელება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება _____
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) მაჟორიტარი N 17/01/01 ცენტრალური თელავი
საანგარიშო პერიოდი - 01.01.2019-24.10.2019.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) რიგითი
1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა
1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 19
- საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 15

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _____მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების -
- კომისიის სხდომებზე დასწრება _____მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების -
3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 5
- ფრაქციის სხდომებზე დასწრება 4

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

ა) მედიათეკის ტიპის სივრცის მოწყობა.
ბ) ქალაქ თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩის ნაწილისათვის თელაველი ექიმის აწ გარდაცვლილი დიმიტრი გიორგელაშვილის სახელის მინიჭება.
გ) თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების შემუშავება.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები :

ა) თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა პროგრამები;
ბ) თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი.
დ) თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 25 თითოეულ შეხვედრაზე
დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 40-50
(ასევე მოქალაქეებთან შეხვედრას აქვს რეგულარული ხასიათი)

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრებზე ძირითადი პრობლემები ეხებოდა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პრობლემებს. კერძოდ,
ა) თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრთა მოსაცდელი ადგილის მოწყობა.
ბ) მუნიციპალიტეტის სოფლებში სკოლებისა და ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა.
გ) სპორტული მოედნების მოწყობა.
დ) სარე სავარჯიშოების მოწყობა;
ე) სოფ. წინანდალში სანიაღვრე არხის მოწუობა

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

ჩემი ინიცირებისა და მოსახლეობის მიერ დაყენებული პრობლემების მოსაგვარებლად მივმართე ყველა შესაბამის სამსახურებს ვინც პასუხისმგებელი იყო აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე, რის შედეგადაც:

ა) მოეწყო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრთა მოსაცდელი ადგილი.
ბ) თელავის მუნიციპალიტეტის სოფლების სკოლებისა და ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა დასრულდება 2019 წლის ბოლომდე.
გ) შემუშავდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება რომელიც უახლოეს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდება.
დ) გარე სავარჯიშოება და სპორტული მოედნების მოსაწყობად გამოცხადებულია ტენდერი
ე) სოფ. წინანდალში სანიაღვრე არხის მოსაწყობად ტენდერი შედგა და ხელშეკრულება ფორმდება.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

30 მოქალაქეს შუამდგომლობა გავუწიე სოციალურ საკითხთან დაკავშირებით, როგორც მუნიციპალიტეტში ისე სოციალური მომსახურების სააგენტოში.
აქტიურად ვიღებ მონაწილეობას კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში:
მონაწილეობა მივიღე ,,ახალგაზრდული პლატფორმა - თელავის ფორუმიში", რაც მიზნად ისახავდა თელავის მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული საჭიროებების წამოწევასა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას.
იმისათვის, რომ მოეწყოს მედიათეკის ტიპის სივრცე შევქმენი სამუშაო ჯგუფი და ჩავატარე რამოდენიმე საჯარო შეხვედრა.
ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი ესტონეთის ქალაქ ვილიანდში, სადაც დაიგეგმა ერთობლივი პროექტები.
ვიმყოფებოდი უკრაინაში ქალაქ ბალტაში სამუშაო მიზნით;

შევსების თარიღი 18.10.2019
წარდგენის თარიღი 24.10.2019

ხელმოწერა ----------